დამოწმებული
ელექტრონული
ელექტრონული ფაქსიმილე
National Bank of Georgia

საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრირებულია
პრეზიდენტის აპარატის,
ადმინისტრაციის განყოფილებაში
17 12 19 №319/30

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №319/30

ქ. თბილისი
17 დეკემბერი, 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით;
მისამართი: სანაპიროს N2, თბილისი 0114, საქართველო;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148.

მიმწოდებელი: ი/მ „ქრისტინე კანტიძე", პ/ნ 01005010529;
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, გ. სუნდუკიანის ქ N3;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი". ბანკის კოდი: TBCBGE22, GE80TB1817945063622334

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მომსახურების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა (CPV კოდი:79530000).

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებულ მომსახურებას წარმოადგენს სებ-ის ქართულენოვანი დოკუმენტაციის (13 გვერდი) ინგლისურ ენაზე თარგმნა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N256/04;
2. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N257/04;
3. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N258/04;

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და/ან ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ბექა ბარბაქაძე.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ერთიანად არაუგვიანეს **2019 წლის 20 დეკემბრისა.**

3.2. მომსახურების ან მისი ნაწილის გაწევა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. მომსახურების (მისი ნაწილის) გაწევის მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.5. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი გიორგი მელაშვილი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **322.00 (სამას ოცდაორი) ლარს** („ხელშეკრულების ფასი").

4.2. ინგლისურ ენაზე წათარგმნი ერთი გვერდის (1800 სიმბოლო დაცილებებით) ღირებულება შეადგენს **14.00 (თოთხმეტი) ლარს.**

4.3. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.4. ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.5. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად მომსახურების მიღებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები
5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაწეული მომსახურება;
5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;
5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.
6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
6.4. 6.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილება შეადგენს 30 დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები
7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს **2020 წლის 31 იანვრისა**.
7.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება
8.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მხრიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
8.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი სახით კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის ან განიხილოს მესამე პირთან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსი. მიმწოდებელს შეუძლია ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს საკუთარ თანამშრომლებზე და მხოლოდ იმ თანამშრომლებზე და იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი მხრიდან ფუნქციების შესასრულებლად.
8.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის შინაარსის თავისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და კონფიდენციალურობის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.
8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია მის ქვეკონტრაქტორებს, რათა მათ შეასრულონ სამუშაოსთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებამდე ქვეკონტრაქტორებმა მიმწოდებელთან უნდა დადონ კონფიდენციალური ინფორმაციის არ გამჟღავნების შესახებ შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება წინამდებარე მუხლთან.
8.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტის დაურღვევლად, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.
8.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე შეთანხმდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტაზე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათ მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან შეთანხმებით გაანადგურონ ის.

8.7 მომწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემსყიდველის შესახებ ინფორმაციასთან (შემდგომში: ინფორმაცია) დაკავშირებით ISO/IEC 27001 სტანდარტით განსაზღვრული, ქვემოთ მოცემული მოთხოვნები:

ა) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ ელექტრონულ ფორმატში მიწოდებულ ინფორმაციაზე განახორციელოს ლოგიკური ან ფიზიკური წვდომის კონტროლი, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა

ბ) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ მატერიალური ფორმით მიწოდებული ინფორმაცია შეინახოს უსაფრთხოდ, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა.

გ) მომწოდებელი ვალდებულია წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, შენახვის საჭიროების ვადის გასვლისას, ელექტრონული ან/და მატერიალური სახით არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გაანადგურეს ისე, რომ არ მოხდეს მისი აღდგენა, რათა არ გახდეს ხელმისაწვდომი არაავტორიზებულ პირთათვის.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების გაწზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. დავათა განხილვის წესი

11.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ზოგადი დებულებები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

12.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ვახტანგ ხურკიაშვილი _____	**ქრისტინე კანტიძე** _____
საქართველოს ეროვნული ბანკი აღმასრულებელი დირექტორი	ინდივიდუალური მეწარმე
	ბ.ა.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ვახტანგ ბურკიაშვილი, გიორგი მელაშვილი, სალომე სხირტლაძე, ბექა ბარბაქაძე და ეკატერინე ჯანელიძე ვადასტურებთ, რომ ჩვენი, მონაწილეობა მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის პროცესში (მიმწოდებელი ი/მ „ქრისტინე კანტიძე") არ იწვევს `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტს.

ვახტანგ ბურკიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი მელაშვილი

შესყიდვების და ლოჯისტიკის
დეპარტამენტის უფროსი

სალომე სხირტლაძე

ფასიანი ქაღალდების ბაზრის
დეპარტამენტის უფროსი

ბექა ბარბაქაძე

ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი

ეკატერინე ჯანელიძე

ლოჯისტიკის განყოფილების სპეციალისტი

17.12.2019